saqarTvelos moswavle-axalgazrdobis gazeTi `CiraRdani~

„ცოდნა სინათლეა...“

# ცოდნის წყარო

q. Tbilisis saxelobo saswavleblis gazeTi # 11, seqtemberi, 2010 weli

GEORGIAN NEWSPAPER OF YOUTH-JUNIOR "CHIRAGHDANI"

“KNOWLEDGE IS LIGHT”

# TSODNIS TSKARO - Source of knowledge

TBILISI SPECIAL STUDYING COLLEGE NEWSPAPER #11, SEPTEMBER, 2010

saswavleblis reqtori, profesori gari CafiZe

## `cxel indoeTis viyav stumari~...



გუშინ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სტამბული-თბილისის ავიარეისს დავხვდი... ინდოელი სტუდენტები მივიღეთ... რაოდენ საამაყოა ჩვენთვის, რომ ინდოელებს საქართველოში სურთ განათლების მიღება... და ეს ყველაფერი გუშინდელი ამბის შემდეგ გამახსენდა — ის-ის იყო, პიონერული ორგანიზაციის რიგებში მიმიღეს და, იმ დროისათვის, ოცნებად ქცეული წითელი ყელსახვევის ტარების უფლება მომცეს (მაშინ საბჭოთა სკოლის მესამე კლასში ვიყავი), რომ რაზმეულის საბჭოს სხდომაზე გამომიძახეს, თან ინტერნაციონალური კლუბის ხელმძღვანელად ამირჩიეს და პირველი დავალებაც მივიღე: - „დაუსწრებელი მოგზაურობა ინდოეთში“, ასეთი იყო საკითხი, რომლის განზოგადებაც უნდა მომეხდინა. სწორედ მაშინ შევიტყვე ინდოეთზე, რომ იგი ატყვევებს ადამიანებს თავისი ზღაპრული იდუმალებით, ვეფხვებისა და სპილოების დიდებულებით, მახარაჯას სახიერებით, თავბრუდამხვევი მთების სიმაღლეებითა და გაუვალი ტყეებით, ზღაპრული სიმდიდრითა და დიდებული ტაძრებით. იგი უძველესი რელიგიისა და უდიდესი წმინდანების ადგილია... ამიტომაც, არავინ რჩება გულგრილი ამ ქვეყნის ხილვის შემდეგ...

ტრადიციული კულტურის მოყვარულებს შეუძლიათ უდიდესი სიამოვნება მიიღონ ინდური მუსიკისა და ცეკვისაგან, აქ ზენიტშია აყვანილი პოეზიაც, რომელთანაც რითმული ურთიერთობის საოცარი ხიდი გადო ჩვენმა **ირაკლი აბაშიძემ:**

„ბევრი ამქვეყნად ერთ თბილ დღეს ნატრობს,
ბევრს თოვლიც არ წვავს გულით რომ სურდეს,
მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს,
სამშობლოვ, ჩემო შენს შვილსა და პატრონს.
ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,
სულით შევეწყვე, გულით გავენდე,
მიწას არ ჰქონდა რამ საწუნარი
ოკეანიდან — ოკეანემდე.
რის დაწუნება, რა დაწუნება
ისიც შენგვარად არის ზღაპარი,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო ბუნება
მაგრამ შენ არ ხარ მარტო მთა-ბარი.
სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულისფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა.
არ გასწვდომიხარ მერიდიანებს,
ამ დედამიწის სიგრძე-განედებს,
შენი ფოთოლი არ მიფრიალებს
ოკეანიდან - ოკეანემდე.
მაგრამ შენს სვე-ბედს განა დაძრახავს,
შენი მგოსანი, შენი პოეტი?!
იყავ, რაცა ხარ, იყავ რაცა ხარ...
დაგვილოცნია ეს ინდოეთი“.

მაშინ დაუსწრებლად ვმოგზაურობდი ინდოეთში და შევიტყვე — ჩვენი მერცხლები იქ რომ იზამთრებენ:

„ამ ზღაპრულ ქვეყნის, ამ საოცრების
მე ვერ ავხსენი ერთი-მეცხედრიც,
მხოლოდ მესმოდა ენა ფრთოსნების,
ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების.
არ გადირევი — ნახო ჯელამთა,
შენი ფშავლები, შენი მესხები?
სად შემეგებნენ, სად მომელანდნენ
ჩვენი მერცხლები, ჩვენი მერცხლები.
რა ფრთოსნებია, რა ფრინველები,
უცქერ, ვერ ძღები, ღელავ, ვერ ცხრები,
სანატრელები, საკვირველები-
ჩვენი მერცხლები, ჩვენი მერცხლები.
შენ შეუმჩნევლად არ დაგრჩენია
სუნთქვა ღრუბლების, ჰანგი მეწყრების,
მაგრამ ფრთის ჩქამი ჯერ არ გსმენია
ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების.
შორს, შორს გაგაფრენს მხარე განგესის,
ხან საოცრების, ხან უმეცრების,
მაგრამ მამულის ყველგან ხმა გესმის-
ჩვენი მერცხლების, ჩვენი მერცხლების“.

ასეთი იყო ჩემი პირველი შეხება ინდოეთთან... ახლა კი, იმ 4000 კილომეტრით დაშორებული ქვეყნიდან ჩვენთან, გიდის პროფესიის დასაუფლებლად, ჩამოსული ულამაზესი ქვეყნის ნიჭიერი ახალგაზრდები, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ინდოელი გმირებივით, ჩემს გულში სახლდებიან და ამიტომაც უშურველად გავცემ მადლობას ყველას მისამართით, ვინც ამ პროექტის ფრთაშესხმის საქმეში ლომის წვლილი შეიტანა, უპირველესად, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს ლიცენზირებისა და აპოსტილის სამმართველოს** და ჩვენს პარტნიორებს: ბატონ **სუხპალ სანდუსს,** ბატონ **შიო მაჭავარიანს,** ქალბატონ **ნინო კანთელაძეს...** და რაოდენ საამაყოა ჩვენთვის ინდოეთში ჩატანილი ქართული სულიერება...

ჰო, ისევ „დაუსწრებელი მოგზაურობა ინდოეთში“ მაგონდება... ეს იყო, დაახლოებით, ოცდაათი წლის წინ... მერე კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლნენ წლები... და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ინდოელ სტუდენტებს ვასწავლიდი, უფრო მეტიც, იმ სასწავლებლის ხელმძღვანელი ვიქნებოდი, სადაც ისინი ისწავლიდნენ...

გუშინ, აეროპორტში დავხვდი, ავიალაინერის დაჯდომამდე გული გალიაში დამწყვდეული ჩიტივით მიფართხალებდა... ბავშვობის გადასახედთან ვიდექი... და ეს ყველაფერი გუშინდელი ამბის შემდეგ გამახსენდა.

RECTOR OF THE COLLEGE, PROFESSOR GARI CHAPIDZE

## I was a guest of hot India



Yesterday, I was waiting for the air-trip of Tbilisi-Stambul at Tbilisi international airport. ..I met to Indian students. . .

How glorious it is for us, that Indian people want to get an education in Georgia. . . and I have reminded everything since yesterday's event. . .

As soon as, I was permitted to the row of Pioneer organization, and was entitled to wear a red muffler, that was my dream (at that time I was in the third form of the Soviet school), I was called to the soviet meeting of detachment, and I was chosen as a leader of the international club. I was charged with the first mission. . .

"Traveling in India with my fantasy". . I had to generalize this article. Exactly at this time I found out some information about India, this country attracts everyone with its fairy mystery, with excellence of tigers and elephants, imagination of Makharaja, with giddy height of mountains and impenetrable forests, fantastic wealth and majestic temples.. .

It is a place of the oldest religion and the greatest saints. Thus, nobody is indifferent after visiting this country. . . amouters of traditional culture are able to get great pleasure with Indian dance and songs, here poetry is raised to the sky, to which our poet Irakli Abashidze built a marvelous bridge of rhythmical relation. Then I traveled with my fantasy and I discovered that our swallows spend winter in India and Indian motto is "Truth always wins".

It was my first touch to India. Now more than 4000 kilometers separated from their country, talented youth of beautiful India came to study a guide specialty, they look like Indian heroes of unfading poem " The Knight in the Panther's Skin". They are in my heart, therefore I want to say many thanks abundantly to everyone, who brought a mite of lion in this inspired affair.

First of all, the department of License and Apostil of the Ministry of Education and Science, as well as our partners: Mr. Sukhpal Sandhu, Mr. Shio Machavariani, Mrs. Nino Kanteladze. . . We are so pride of taking our Georgian spirituality to India.

Once again I have reminded my travel in India. . It was 30 years ago. .then time has gone too fast. I had never imagined that I would have been a teacher of Indian students, or an instructor of the college, where they would have studied.

Yesterday I was at the airport, before airliner landing my heart beat like a bird in a cage. . I had view from my childhood . . . .and I have reminded everything since yesterday's event.. . .



*წერილი საქართველოდან*

## გამარჯობა მეგობარო!

ამ წერილს საქართველოდან გწერ, თბილისის სახელობო სასწავლებელ "ჩირაღდნის" სტუდენტი, იქნებ შენც, როგორც ჩემი თანამემამულე დაინტერესდე აქ სწავლით, მერწმუნე "ჩირაღდანთან" ურთიერთობა და შენი ბედნიერი დღეების დასაწყისი ერთი იქნება.

სასწავლებელში გამეფებული დისციპლინა და წესრიგი, სალექციო კურსის უმაღლესი დონე და მხატვრული თვითშემოქმედება ევროპული განათლების თანამედროვე სისტემაა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა პროფესორი ბატონი **გარი ჩაფიძე** თავის უნიჭიერეს და ულამაზეს პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად.

აქ მოსმენილი თითოეული ლექცია მეგობრობის სინთეზით გამსჭვალული მეცნიერებისადმი სიყვარულია, სპეციალობასთან ერთად ქართულსაც ვსწავლობთ უდიდესი ინტერესით, ამიტომ მომავალში წერილს ქართულ ენაზე დაწერილს გამოგიგზავნი, მაგრამ შენ რომ ვერ წაიკითხავ ჩემო ინდოელო მეგობარო?! არაუშავს, შენც სწავლას თუ "ჩირაღდანში" განაგრძობ ქართულსაც ისწავლი და ჩემი გულის ფეთქვასაც გაეცნობი.

**აჯაი კუმარ მიშრა –**
**გიდის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი**

*A letter from Georgia*

## HELLO MY FRIEND!

I am writing this letter to you from Georgia. I am a student of special studying College of "Chiraghdani"of Tbilisi, and even you as my compatriot may have will to learn at this college. Believe me, your connection to "Chiraghdani" means beginning of your happy days.

Discipline, orderliness, high academic course and amateur art activities prevailing in this college encourages the modern educational system. Young professor **GARI CHAPIDZE,** together with his clever and beautiful college stuff, leads this college successfully.

Nice situation in this college enables us to better understand of different science, together with special disciplines we are learning Georgian with great interest. Therefore, I will write a letter in Georgian language and send it to you in future, but you will not be able to read this letter my Indian friend; do not worry, if you decide to study at the college of "Chiraghdani" you will learn Georgian language and also feel my heart beating.

**AJAY KUMAR MISHRA- a first year student of guide specialty**

## „ჩირაღდანში" სწავლა ჩემთვის სიამაყეა!



მცხეთა, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. აქ უამრავი სიწმინდეა, რომელთა შორის განსაკუთრებულია-სვეტიცხოველი, რომელიც არც ერთ მნახველს არ ტოვებს გულგრილს თავისი მრავალფეროვნებით. ამ ძეგლზე უამრავი ლეგენდა და თქმულება არსებობს, აქ საქართველოს უთვალსაჩინოესი მეფეები და პიროვნებები არიან დაკრძალულნი, ამიტომაც წმინდა ადგილად შეურაცხავთ და მცხეთა ქალაქ-მუზეუმად მოუნათლავთ.

სწორედ ამ ქალაქში მოვაწყვეთ მართლაც და საინტერესო ექსკურსია სახელობო სასწავლებლ "ჩირაღდანი"-ს გიდის პროფესიის სტუდენტებმა და კიდევ მეტად გავიღრმავეთ ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ქართული ტრადიციების შესახებ პედაგოგების: **ნელი ბროლაშვილის, ია გიქორაშვილის, ანა დავითაშვილის** დახმარებით.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ მთელი სტუდენტების სახელით სასწავლებლის ხელმძღვანელს პროფესორ **გარი ჩაფიძეს** ჩვენზე ესოდენ ზრუნვისა და ამ ექსკურსიის უფასოდ მოწყობისათვის.

"ჩირაღდანში" სწავლა ჩემთვის სიამაყეა!

**მიით ამანჯით კორ -**
**გიდის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი**

## Studying at the college of "Chiraghdani" is pride for me



Mtskheta is one of the most ancient cities in Georgia. There are many sacred places such as Svetitskhoveli and nobody stays indifferent after visiting this temple. A lot of stories and legends are connected with the city, many famous Georgian kings and public figures are buried at the cathedral. Therefore, Svetitskhoveli is regarded as a holy place and Mtskheta has become a city-museum of Georgia.

Students of the special studying college of "Chiraghdani" went on excursion exactly to this city and got much knowledge about the history of Georgia and also on Georgian traditions with assistance of teachers such as: Neli Brolashvili, Ann Davitashvili, Ia Gikorashvili. We are very much obliged to the headmaster of the college, professor **GARI CHAPIDZE**, because of this free excursion and so much caring for us.

Studying at the college of "Chiraghdani" is pride for me.

**MEET AMANJIT KAUR -**
**a first year student of guide specialty**

## „მეგობრობა გზად და ხიდად"

ქართველი ხალხისთვის უცხო ტომთა გვერდით ცხოვრება, მათი შეხედულებებისა თუ გემოვნებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება, პრობლემა არასოდეს ყოფილა და დღეს, როდესაც XXI საუკუნემ დედამიწის სხვადასხვა ერებს ინტეგრაციისა თუ გლობალიზაციის შესაბამის დონეზე გადაწყვეტის ამოცანები დაუსახა მიზნად-საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ "ჩირაღდანთან არსებულმა სახელობო სასწავლებელმა მეგობრობისა და თანამშრომლობის ეგიდით უცხოელი, ამჯერად ინდოელი ახალგაზრდების პროფესიულ ცოდნა-განათლებასთან ზიარებით უპასუხა.

მიმდინარე სასწავლო წელს გიდის სპეციალობაზე ინდოელი სტუდენტები გვეწვივნენ. თვით ტურიზმი დიალოგის, მშვიდობისა და განვითარების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად არის აღიარებული და მისი საფუძვლების ერთობლივად დამუშავება თუ განზოგადება ამ საკითხებს არა ერთხელ გვათავისებინებს. მე პროფესიული ეთიკის სწავლება დამევალა.



უჩვეულო, საპასუხისმგებლო, გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერებით სავსე, მაგრამ ამავე დროს საინტერესო და სახალისოც იყო პირველი დღეები სასწავლებელში ორივე მხარისათვის.

-გინდათ ვიმეგობროთ? + დავსვი პირველივე ლექციაზე შეკითხვა.

-„ოკეი" - იყო პასუხი მათი მხრიდან.

ძირითადი პედაგოგიური კანონების იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომ ერთმანეთს უნდა შეესატყვისებოდეს მასწავლებლის საქმიანობა და სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებების დონე-პირველ რიგში ყურადღება მივაქციე ორმხრივ თანამშრომლობით ურთიერთობას, სხვა აღმსარებლობისა და კულტურის ადამიანებთან სწავლების სიტუაციური მეთოდებისა და საშუალებების შერჩევას. ყოველდღიური სასწავლო პროგრამა კი შეირჩა არა მარტო მეცნიერულობისა და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, არამედ ინდოეთის, ზოგადსაკაცობრიო იდეების, თითოეული სტუდენტის შემეცნებითი თუ სულიერი მოთხოვნილების შესაბამისად, სწორედ ამ საკითხზე გავიარეთ ტრეინინგები სასწავლებლის ხელმძრვანელთან, პროფესორ გარი ჩაფიძესთან.

ერთთვიანი მუშაობა უცხოელებთან ალბათ ცოტაა, მაგრამ მათ ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ჩვენს წინაშე საკმაო ინტელექტუალური პოტენციალია: ჰარპრიტ სინგ გრევალის, ჯასვანტ კუმარის, დალვინდერ სინგის, კარანბირ სინგის, დავინდერ სინგის, ამანჯიტ კორის, ჰარჯინდერ სინგის, ჯატინდერ პალ სინგის, სატნამ სინგ სონპალის, რამანდიპ კორის, მიიტ ამანჯიტ კორის, აჯაი კუმარ მიშრას, ბალიჰარ სინგის, ვიკაშ შარმას, ვიკაშ ჯოშის სახით.

ჭეშმარიტად, ქართულ-ინდურ მეგობრობას დიდი პერსპექტივა აქვს.

**ნელი ბროლაშვილი -**
**პროფესიული ეთიკისა და ეტიკეტის საგნის ლექტორი**

## Friendship as a bridge of nations

Living with foreign tribes, tolerance relation toward them has never been the problem for Georgians. Nowadays, when twenty one century's main goal is integration and globalization of nations, Georgian college of "Chiraghdani" existed at the Georgian Junior-Youth newspaper, responded this task by sharing professional education and knowledge to foreigners, namely Indian students. This is a form of friendship and collaboration.

Indian students are admitted to this college and specialized in tourism, faculty of guide in current training year. Tourism itself is considered as the main way of dialogue, development and peace, processing and generalization of its fundamentals together assist us to get and consider more information. My duty is to teach them professional Ethics.

The first days at the college were unusual, responsible, full of psychological barriers but interesting and funny for both sides.

-Do you want friendship? I asked this question to the students at the first lecture.

-Yes, they answered me.

Based on the main requests of pedagogical rules a teacher's activity must be adequate to student's individual originality. First of all, I have paid attention to relation of bilateral collaboration, I have chosen methods and means of teaching for people with different religion and culture. Daily teaching program is selected not only by science or modern standards accordingly each student's cognitive or spiritual requests and Indian fundamental ideas as well. We had a training course on the issue with headmaster of the college, professor Gari Chapidze.

A month working with foreigners is little time, but observing on their group or individual study seems that these students have sufficient intellectual potential:

Harpreet Singh Grewal, Jaswant Kumar, Dalwinder Singh, Karanbir Singh, Davinder Singh, Amanjeet kaur, Harjinder Singh, Jatinder Pal Singh, Satnam Singh Sohpal, Ramandeep Kaur, Amarjit Kaur Meet, Ajay Kumar Mishra, Balihar Singh, Vikash Sharma, Vikash Joshi.

Indeed, Georgian-Indian friendship has a great perspective.

**NELI BROLASHVILI -**
**lecturer of professional Ethics and Etiquette**

# ინდური კულტურის დღეები



თბილისში არსებულმა სახელობო-საგანმანათლებლო სასწავლებელმა „ჩირაღდანმა“, სადაც ჩვენ ერთწლიანი პროგრამით გიდის პროფესიას ვეუფლებით, ჯერ ჩვენდამი ქართული ენის სწავლების საინტერესო მეთოდით გაგვაოცა, შემდეგ უამრავი სასიკეთო, მიმზიდველი წამოწყებებით და ბოლოს ჩვენივე, ინდური ხელოვნების მოსმენის ორიგინალური სტილით, დიახ, „ჩირაღდანი“ ინდოელებს-ინდური კულტურის დღეებით გვმასპინძლობდა.

ტურიზმის საგნის ლექტორმა ქალბატონმა ნელიმ - ბევრი ისეთი რამ გვიამბო ინდოეთის შესახებ, რაც ჩვენთვისაც სიახლე გახლდათ, ამ დღეებმა კიდევ მეტად დაგვაახლოვეს პედაგოგებთან, ბატონ, პროფესორ გარი ჩაფიძესთან, ქალბატონებთან: ნაზისთან, იასთან, ანისთან, ციურისთან, თამთასთან... მერე სტუდენტებმაც ავიღეთ სიტყვა: ვიკაშ შარმა, კარანბირ სინგ, აჯაი კუმარ მიშრა... ინდური კულტურის საოცრებებზე მოუთხრობდნენ მსმენელთ, ამ დღეების ეგიდით მოეწყო ინდოელ სტუდენტთა ნახატის გამოფენა და დასასრულს მართლაც გულში ჩამწვდომი, ჩვეული ხიბლით მოგვმართა, პროფესორმა **გარი ჩაფიძემ**. მისი სიტყვები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ბევრმა ჩავიწერეთ კიდეც... მანვე შეაჯამა ინდური კულტურის დღეების მიმდინარეობა და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა შემდეგი სტუდენტები: კარანბირ სინგ, ამანჯიტ კორ, ჯანსვენტ კუმარ, აჯაი კუმარ მიშრა.

მიხარია, რომ ჩემი სასწავლებელი „ჩირაღდანია“.

**ვიკაშ შარმა** -
**გიდის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი**

# INDIAN CULTURAL DAYS



Tbilisi Special studying college of "Chiraghdani", where we are studying a year program of guide specialty, after interesting teaching method has astonished us with various attractive and positive intentions. The final point of this was holding the day of Indian culture.

Lecturer of tourism Madam Neli retold us such stories which were even news for us. These days created our more close relation with professor Gari Chapidze, with Madams: Nazi, Ann, Tsiuri, Ia, Tamta. Then the students' turn came: Vikash Sharma, Karanbir Singh, Ajay Kumar Mishra... and they spoke on Indian culture's especiality. Herewith, exhibition of Indian students' paintings was held. Final touchy appeal was voiced by professor **GARI CHAPIDZE,** his wards were return down by many of us. He also summarized the days of Indian culture and gave certificates to the students : Karanbir Singh, Amanjeet Kaur, Jaswant Kumar, Ajay Kumar Mishra.

I am glad, that "Chiraghdani" is my college.

**VIKASH SHARMA -**
**a first year student of guide specialty**

# გასეირნება თბილისში



სანამ საქართველოში სასწავლებლად წამოვიდოდი, ამ თვალწარმტაცი ქვეყნის ისტორიას გავეცანი, შევიტყვე რომ იგი უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანაა, რომელიც დემოკრატიული განვითარებით ტოლს ბევრ ქვეყნებს არ უდებს და განათლების რეფორმაც ევროპაზეა ორიენტირებული.

განსაკუთრებით მომხიბლა თბილისის წარსულმა, მწამს რომ ამ ლამაზ ქალაქს მომავალიც ისეთივე ბრწყინვალე ექნება, როგორიც აწმყო. . .

ახლა უკვე თბილისის სახელობო სასწავლებელ“ ჩირაღდანი“-ს სტუდენტი ვარ, გიდის პროფესიას ვეუფლები და ჩემი ბიოგრაფიის ოქროს თავფურცელს ვავსებ. სასწავლებლის რექტორის პროფესორ **გარი ჩაფიძის** თანადგომით, მისი დიდი ძალისხმევის შედეგია სასწავლებელში გამეფებული მაღალი სასწავლო-აკადემიური დონე და ყოველ სტუდენტზე მორგებული სწავლა-შემეცნების ხელსაყრელი პირობები.

ბატონი გარი დღენიადაგ ზრუნავს ჩვენზე, ამ დღეებში უფასოდ მოგვიწყო გასეირნება თბილისში, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დავტკბით ულამაზესი ადგილების ხილვით, მოგვხიბლა სამების ტაძარმა. .

თბილისის დამაარსებლის, მეფე ვახტანგ გორგასალის ძეგლთან თბილისის ისტორიაზე ლექცია წაგვიკითხა პედაგოგმა ია გიქორაშვილმა, ხოლო მინებისაგან აგებულ “მშვიდობის ხიდთან” ექსკურსიამცოდნეობაზე გვესაუბრა ლექტორი ნელი ბროლაშვილი. ბევრი გართობის შემდეგ სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ და ისევ სასწავლებლის ძალისხმევით უფასო სადილიც დავაგემოვნეთ, “გასეირნება თბილისში” მე და ჩემს მეგობრებს არასოდეს დაგვავიწყდება.

**კარანბირ სინგი** -
**გიდის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი**

# A pleasant walking in Tbilisi

Before I came to Georgia for studying, I had looked through the history of this magnificent country and I had learnt that Georgia has the oldest culture and civilization which meets European countries' culture and specifies European educational orientation and reforms.

I was fascinated especially by the past of Tbilisi. I believe, this beautiful city will have a bright future as the present is.



Now I am a student of special studying college of "Chiraghdani", faculty of guide. This period is a golden part of my biography. Rector and professor **GARI CHAPIDZE** always assists us. Due to professor Chapidze there are high teaching-academic level and for all the students fitted studying perspective conditions. Continually Mr. Gari cares for us, last week he organized a free walking in Tbilisi. All we have seen exceeded over expectation. We were astonished by Holy Trinity Church.

At the sculpture of Vakhtang Gorgasali, the founder of Tbilisi, our teacher Ia Gikorashvili delivered a lecture about the history of Tbilisi and a lecturer Neli Brolashvili shared her experience about guideness on the "Bridge of Peace", that was built with glass.



After a lot of entertainment we took some memorable photos and we were also given a free dinner through our college. My friends and I will never forget "A pleasant walking in Tbilisi".

**KARANBIR SINGH -**
**a first year student, specialty of guide**

# `CiraRdanisa~da indoel studentebis megobrobis dRe



მარადიულ მეგობრობის უკვდავსაყოფად ჩვენს სასწავლებელში „ჩირაღანი“-სა და ინდოელი სტუდენტების მეგობრობის დღე 5 აგვისტო დავაფუძნეთ.

ამიერიდან, როგორც „ჩირაღდანი“ ასევე თითოეული აქ კურსდამთავრებული ინდოელი სტუდენტი სიამაყით აღნიშნავს ცხელ აგვისტოს დასაწყისში ამ დღეს, რომლის სამარადჟამოდ სასწავლებლის ეზოში ყვავილოვანი ხე დავრგეთ, რომელიც ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყვავის, ხეს წარწერაც ამშვენებს, რომ იგი ამ ისტორიული დღის საჩუქარია. . .

სასწავლებლის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გარი ჩაფიძემ** პირადად მიიღო მონაწილეობა ნარგავების დარგვაში, ხოლო პედაგოგმა ნელი ბროლაშვილმა უამრავი წარმატებები გვისურვა ჩვენი ცხოვრების მეგზურად.

**ამანჯიტ კოორ** -
**გიდის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი**

# A friendship day of "Chiraghdani" and Indian students

We established a friendship day for eternal friendship of "Chiragdani" and Indian students on the fifth of August in our college.

Hence, "Chiraghdani" and each graduated student from this college will celebrate this day with great pride at the beginning of hot August. For memorable of this day, we planted a blooming tree in the yard of our college. This tree breaks out into blossom from early spring till late August. There is an inscription above the tree - a gift of this historical day.

The headmaster of this college, professor **GARI CHAPIDZE** took part in planting this tree and a lecturer Neli Brolashvili wished a lot of success to us as a orienteer of our lives.

**AMANJIT KAUR -**
**a first year student, guide of specialty**

**ჩვენი გაზეთი „ცოდნის წყარო“ საერთაშორისო გაზეთ „საქართველოს მიღმა საქართველოსთან“ ერთად ვრცელდება: — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, კანადაში, ისრაელში, საბერძნეთში, უკრაინაში, რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში, ირანში, ინდოეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, გაეროში, ევროკავშირში.**

**მისამართი: 0182 ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა 7; ტელ: 27 89 00; 27 89 01; 27 89 02;**

**ფილიალი რუსთავში: შევჩენკოს ქ. №5; ტელ.: 12 25 00; 12 45 00; 17 96 00**

**OUR NEWSPAPER “CODNIS TSKARO” IS SPREAD WITH THE INTERNATIONAL NEWSPAPER “SAQARTVELOS MIGMA SAQARTVELOSTAN” IN THE UNITED STATES OF AMERICA, AUSTRIA, BELGIUM, HOLLAND, GERMANY, CANADA, ISRAEL, GREECE, UKRAINE, RUSSIA, FRANCE, ITALY, TURKEY, IRAN, INDIA, AZERBAIJAN, ARMENIA, EUROUINION, ORGANIZATION OF UNITED NATIONS.**

**THE ADDRESS OF THE EDITORIAL OFFICE: 0182, JAVAKHETI STREET 7; TBILISI PHONE:+995 (23) 27 89 00; 27 89 01; 27 89 02**

**BRANCH IN RUSTAVI: SHEVCHENKO #5, TEL.: 12 25 00, 12 45 00, 17 96 00.**

CMYK

# GEORGIA




Russia
Turkey
Armenia
Azerbaijan
Black Sea
Apkhazeti
Samegrelo Zemo Svaneti
Racha Lechkhum Kvemo Svaneti
Imereti
Guria
Ajara
Samckhe Javakheti
Shida Kartli
Mtkheta - Mtianeti
Kvemo Kartli
Kakheti
Tbilisi
Gagra
Gudauta
Sokhumi
Gulripshi
Tkvarcheli
Ochamchire
Gali
Zugdidi
Tsalenjikha
Chkhorotsku
Martvili
Khobi
Senaki
Abasha
Samtredia
Poti
Mestia
Lentekhi
Tsageri
Oni
Ambrolauri
Khoni
Tskaltubo
Kutaisi
Tkibuli
Chiatura
Sachkhere
Terjola
Zestaponi
Vani
Baghdati
Kharagauli
Lanchkhuti
Chokhatauri
Ozurgeti
Kobuleti
Batumi
Khelvachauri
Keda
Shuakhevi
Khulo
Adigeni
Akhaltsikhe
Aspindza
Borjomi
Akhalkalaki
Ninotsminda
Java
Tskhinvali
Khashuri
Kareli
Gori
Kaspi
Akhalgori
Dusheti
Tianeti
Kazbegi
Shatili
Mtskheta
Tsalka
Tetri Tskaro
Marneuli
Bolnisi
Dmanisi
Rustavi
Gardabani
Omalo
Akhmeta
Telavi
Kvareli
Lagodekhi
Sagarejo
Gurjaani
Sighnaghi
Dedoplistskaro
www.geoland.ge
GeoLand